საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი N3

ქ. თბილისი

9--ივნისი 2013 წ.

შესყიდვის საგანი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ **ქ. თბილისში, ბაღდათის ქუჩაზე მდებარე შენობას (ყოფ. ჰოსპიტალი ს/კ 01.17.12.023.033) სარეაბილიტაციო სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების** სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის (N1239) საშუალებით.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე:

- გოგი ფაცაცია — მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის თავმჯდომარე

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:

-მერაბ მენაბდე — მინისტრის მოადგილე
-ამირან გოგიძე — საფინანსო დეპარტამენტის უფროსი
-კახაბერ პეტრიაშვილი — იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
-კახაბერ ჩხარტიშვილი — ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი
-მურად აბლოთია — დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი
-გია ნაჭყებია — განსახლების ობიექტების ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი
-ირაკლი კოკაია — მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:

-ნოდარ ყოჩიშვილი — მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი
-დავით ლოლაძე — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი
- თეიმურაზ მაღალდაძე — ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი
- ნინო მენთეშაშვილი — საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენდაციით უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი
- მაიკო მიქაია — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

დღის წესრიგი:

1. **ქ. თბილისში, ბაღდათის ქუჩაზე მდებარე შენობას (ყოფ. ჰოსპიტალი ს/კ 01.17.12.023.033) სარეაბილიტაციო სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების** სახელმწიფო შესყიდვაზე ჩატარებული ელექტრონული „კონკურსის“ (N1239) შედეგების განხილვა.
2. კონკურსში (N1239) მონაწილე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შერჩევა-შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

საკონკურსო კომისიამ მოისმინა:

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრმა ამირან გოგიძემ საკონკურსო კომისიას გააცნო ინფორმაცია ზემოაღნიშნულ შესყიდვაზე გამოცხადებული ელექტრონული კონკურსის შედეგების შესახებ, რომლის თანახმად ელექტრონულ კონკურსში (N1239) თავისი საკონკურსო წინადადება წარმოადგინა და მონაწილეობდა 3 (სამი) კონკურსანტი:

1. **შპს ,,ბ.დ. ჯგუფი“**
2. **შპს „არქსერვისი+“**
3. **შპს „არქსტუდია დადუ“;**
4. **შპს „სავანე ჯგუფი“;**
5. **შპს „ოპტიმუსი“**
6. **შპს „აგენორი“**

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინდადებები განსახილველად გადაეცა სამინისტროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენდაციით უზრუნველყოფის სამმართველოს, კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სრული დაგეგმარების არქიტექტურული კონცეფციის საკონკურსო განცხადებაში გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის დასადგენად.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენლი საკონკურსო წინადადებების ღირებულებება შეადგენს:

1. შპს „ბ.დ. ჯგუფი“ - 16 550 (თექვსმეტი ათას ხუთასი) ლარი;
2. შპს „არქსერვისი+“ - 22 900 (ოცდაორი ათას ცხრაასი) ლარი;
3. შპს „არქსტუდია დადუ“- 28 700 (ოცდარვა ათას შვიდას) ლარი;
4. შპს „სავანე ჯგუფი“- 31 500 (ოცდათერთმეტი ათას ხუთასი) ლარი;
5. შპს „ოპტიმუსი“ - 22 000 (ოცდაორი ათასი) ლარი;
6. შპს „აგენორი“ - 22 400 (ოცდაორი ათას ოთხასი) ლარი;

საკონკურსო კომისიამ განიხილა:

საკონკურსო კომისის წევრებმა განიხილეს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია, რის შემდეგაც, კონკურსანტების მიერ წარმოდგენილ არქიტექტურული დაგეგმარების კონცეფციაზე მოხსენება გააკეთა სამინისტროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენდაციით უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსმა ნინო მენთეშაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სამმართველომ განიხილა ქ.თბილისი, ბაღდათის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობის (ყოფ. ჰოსპიტალი ს/კ N 01.17.12.023.033) სარეაბილიტაციო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტების მიწერ წარმოდგენილი კონცეფციები. კერძოდ,

1. შპს „არქსერვისი+“-ს მიერ არ არის წარმოდგენილი კონცეფცია ტექნიკური პროექტის დონეზე, სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი შენობის სართულების გეგმები და ზომები.
2. შპს „ბ.დ.-ჯგუფი“ -ს მიერ წარმოდგენილია კონცეფცია ტექნიკური პროექტის დონეზე, განმარტებითი ბარათითა და შენობის ყველა სართულზე ბინების განლაგებით, შესაბამისი ზომებისა და ფართების დატანით, რაც იძლევა საშუალებას მისი სრულყოფილად განხილვისათვის.
3. შპს „არქსტუდია დადუ“-ს მიერ წარმოდგენილია კონცეფცია ტექნიკური პროექტის დონეზე, განმარტებითი ბარათი და შენობის ყველა სართულზე ბინების განლაგებით, შესაბამისი ზომებისა და ფართების დატანით კონცეფცია დამაკმაყოფილებელია.
4. შპს „სავანე ჯგუფი“-ს მიერ წარმოდგენილი კონცეფცია არ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს (ბინების ფართები არ შეესაბამება ჩვენს კრიტერიუმებს).
5. შპს „ოპტიმუსი“-ს მიერ წარმოდგენილი ბინების გეგმარება არადამაკმაყოფილებელია, გვაქვს შენიშვნები, ერთ-ერთი- სამზარეულოს არ აქვს ფანჯარა.
6. შპს „აგენორი“ -ს მიერ წარმოდგენილი შენობის გეგმარების დროს ერთოთახიანი ბინები არ არის დაგეგმარებული და რაც შეეხება ოროთახიან და სამოთახიან ბინების ფართებს, ისინი არ შეესაბამება ჩვენს მოთხოვნებს.

საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს და შეაფასეს კონკურანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები არქიტექტურული დაგეგმარების კონცეფციისა და ფასის გათვალისწინებით.

საკონკურსო კომისიამ გადაწყვიტა:

1. **შპს „ბ.დ.-ჯგუფი“**-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შეესაბამება საკონკურსო განცხადებითა და საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
2. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით ელექტრონულ კონკურსში (**N1238**) გამარჯვებულად გამოვლინდა **შპს „ბ.დ.-ჯგუფი“**-ს საკონკურსო წინადადება.
2. საკონკურსო კომისიის აპარატს დაევალა:
2.1. კონკურსანტისთვის კომისიის გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნა.

2.2. გამარჯვებულ კონკურსანტთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების და კანონმდებლობით დადგენილი სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმდება.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე: გოგი ფაცაცია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები: მერაბ მენაბდე

ამირან გოგიძე

კახაბერ პეტრიაშვილი

კახაბერ ჩხარტიშვილი

მურად აბლოთია

გია ნაჭყებია

ირაკლი კოკაია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები: ნოდარ ყოჩიშვილი

დავით ლოლაძე

თეიმურაზ მაღალდაძე

ნინო მენთეშაშვილი

მაიკო მიქაია